

1940

# თქცთმბრუელი

საქართველოს  
საბჭოთაო  
კავშირების  
საქართველო



1940წ.

11



# ოქტომბრული

№ II  
ნოემბერი  
1940 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქ. მისამართი: თბილისი, ვრიზოვსკის ქ., № 34  
ტელ. № 3-02-61

საპარტიოლოს ბ. ლ. კ. კ. ციკას და სპ. განსახორის ერთმეორეი ორგანო  
„Октомбри“ журнал Центрального Комитета ЛККМ Гр. и Наркомпроса Грузии.

## შედეგები შინაარსის

	გვ.
1. ბალატიონი ტანკი—სიხარულით გავალ ხალხში (ლექსი) . . . . .	1
✓ 2. ანა ხახუტაშვილი (ცაჭიტი)—მებრძოლი ვია (მოთხრობა) . . . . .	2
✓ 3. ილია სიხარულიძე—ზურა (ლექსი) . . . . .	3
✓ 4. რიფიონ შორაქია—ჭინკა (ხალაპარი) . . . . .	4
✓ 5. სანდრო ჯღნისიძე—ნახვამდის (ლექსი) . . . . .	8
✓ 6. გიორგი კახაიანი—გვირის ნახვა (ლექსი) . . . . .	8
✓ 7. ლავროვი შინაარსი—თეკლა (მოთხრობა) . . . . .	9
✓ 8. ვალვა თახუტაშვილი—ქეთინის ანგარიში (მოთხრობა) . . . . .	11
✓ 9. ალექსანდრე კოკია—პირველი გასროლა (მოთხრობა) . . . . .	12
✓ 10. არნო ონელი—მეც... (ლექსი) . . . . .	14
11. ლეო ჩაღმელი—„ალუბლები ყვავიან“ (წერილი) . . . . .	15
12. ვალვა ბაქია—შემოღობა (ლექსი) . . . . .	16
13. კარლო აკვლაძე—მაშის მურაბა (ლექსი) . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
14. თბილისის მე 14 სკოლის დაწვებითი კლ. ფრიადოსნები—გარეკანის მე-4 გვ.	გვ.

ფურცლის გაფორმება ეკუთვნის მხატვარ—ი. ქოქიაშვილს.  
გარეკანის მხატვრობა ა. საეიხს.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. შინაარსი

პასუხისმგებელი მდივანი: ან. თხუტაძე

გადეცა წარმოების 28/X 1940 წ.

ქალაქის ზომა 60 X 92

ხელმოწერილია დასაბუჯად 28/XI 40 წ.

ფორმათა რაოდენობა 22-გვ. 9<sup>1</sup>/<sub>4</sub> X 14

შე (№) 3071 შეც (Заказ) 1311 ტირაჟი (Тираж) 18.600

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომპანია „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.  
Полиграфкомбинат „Коммунист“, имени Л. П. Берия. Тбилиси, ул. Ленина № 28.

# სისარულით გავარსდნა

საქართველოს  
საბავშვო

## გადავიღო ვაჟი

ამოვიდა

თუ არა მით  
დიდებული მსათი —  
ფანჯარასთან  
მსწრაფლ მიიჭრა  
მსიარული რატი.

და შესასხა:

„აწი ვერ მძლევს  
შენი სუნთქვა ავი,  
სისარმაცვე,  
სისარმაცვე!  
დამნებე თავი!

დღეს გათენდა

ოქტომბერის  
ოცდასამი წელი  
სისარულით  
გავალ ხალხში  
როგორც ოქტომბრული.

სისარულით

აივსება  
გზა — სიმღერად მრევეი.

დედა! მომეც

ჩემი დოლი,  
ჩემი ევლსახვევი.

მოიხსება

მუსიკის ხმა  
და დროშები ალის,  
გაუმარჯოს  
ოქტომბრის მკედო,  
ლეინსა და სტალინს!

და ტოლებში

გადაეშვა  
მსიარული რატი.  
დღეა ლაღი,  
დღეა ვრცელი,  
დღეა იშვიათი.





დღეს გია ძლიერ ამაყია, ხუთი წლის ბიჭი თავით ფეხამდის შეიარაღებულია და საომრად მიდის.

უფროსმა ძმამ სახურავიდან ჩამოვარდნილ ყავრისაგან გაუკეთა თოფი, ხმალი და ხანჯალი, და პაწია ბიქს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.

მას ძალიერა ჰყავს, ორი თვის ლეკვი, განუყრელად სულ თან დასდევს. გიას თავისი მეგობარი ლომი ჰგონია, როცა ლეკვი ნასახლართან გაიქცევა და ბოსტანში მკლავებგაფარფარებულ საფრთხობელას გამაღებით უყეფს.

— აქ მოდი, ცუგო, მანდ რას უყეფ, ჩემთან დადექ—ეუბნება გია ლეკვს და მოხერხებულ ადგილს ეძებს.

— აი აქედან ვესროლოთ, თუ გამოიქცევა,—საქათმეში დავიმალოთ. ცუგო, ცუგო!—დაჟინებით უძახის თავის ლეკვს. ლეკვი მოცუნცულდა, გიას ფეხებთან ბორგავს, თამაშობს, იმასაც გმირად მიაჩნია თავი: ხუმრობა საქმეა, საფრთხობელა შეაშინა და სულ კანკალი დააწყებინა.

გია კი საქათმის კედელს ეფარება და მთიდან გადმომდგარ ერთადერთ ხეს მოღუშული სახით თოფს უმიზნებს. ეს ხე გიას ვილაღ შავი კაცი ჰგონია. იმ შავი კაცის შიშით კრიტი ვერ დაუძრავს, იმას ჰგონია, შორიდან ის შავი კაცი რალაცას ემუქრება და სახლში აღრიადებულ ბიქს გარეთ რომ გამოაუღებენ, იმ წამსვე ჩუმდება. შინაურები კი დარწმუნებულნი არიან, რომ გიაზე მზე და ჰაერი

დამაწყნარებლად მოქმედებს და ყოველთვის ბავშვს მცირე გაკირვეულებაზე ასე ისტუმრებენ:

— გასწი, შენ გაზრდას, პატარა ჰაერზე გაისეირნე და დაწყნარდებო.

— აი, ახლა მოვკლავ და ჩვენები რომ გარეთ გამომაგდებენ, თავისუფლად ვიტირებო.

ბურტყუნებს გია და შავ „კაცს“ თოფს უმიზნებს. შეიარაღებული ბიჭი თან კედელს ეფარება, იქიდან მალულად უცქერის მთიდან გადმომდგარ ხეს და გასროლას აგვიანებს.

— ვესროლო? მოგკლა?—ბუტბუტებს ბავშვი და თან გულში რალაცას შიში ეპარება, არ გამომიდგვსო.

გია აშკარად ხედავს, რომ ხე თითქოს თრთის, შიშით კენწერობს არხევს.

— გეშინია, განა?! ჰო, აი მეც ეგრე მაშინებ ხოლმე. აბა, დამაცა, მოგკლა!—გათამაშდა ახლა კი გია.

— ბუჰ, —ბუჰ!—ესროლა გიამ და გაკვირვებით თვალები დააქყიტა: ხე იმ წამს ერთი მაგრად შეირხა და წაიქცა.

— მოვკალი, მოვკალი!—წამოიყვირა ბიქმა და ადგილიდან მოსხლტა. მტრის მოკვლა გაუხარდა, მაგრამ მაინც სახლში გაიქცა დასამალავად. ცოტა ხნის შემდეგ, როცა გია თავის ბელაურ ცხენს მოახტა და ჯოხის ფხაკუნით გარეთ გამოვიდა, შავი კაცი იქ აღარ ჩანდა, მთის მწვერვალს ლურჯი ცა დაჰქათქათებდა, და გიას მეტად ესიამოვნა, მაგრამ რალაც ეკვი შეეპარა.

— ნუთუ ამ თოფმა მოკლა?.. — ამ თოფით ხომ მუდამდღე კლავს გია ქათმებს, მეზობლის ძაღლს, ყველისპარია კატას, და მანც არა კვდებიან. მეზობლის ძაღლი გუშინ, იმის მაგიერად, რომ მომკვდარიყო, გიას ხელში სწვდა, პურის ყუა გამოსტაცა და არხენინად გაცუნტულდა. მაშ ხე რამ წააქცია?

— ჰო, ალბათ, ჩემი თოფისა შეეშინდა და გაიქცა. ჰო, სწორედ ვგრძობდი ხდება: მე რად მაშინებდა?! — ამაყობს გია მტრის დამარცხებით და ის კი არ იცის, რომ ის ერთადერთი ხე მინდორში კოლმეურნეებს მოგუგუნე კომბაინისათვის დასჭირებოდათ და სჭრიდნენ. ხე სწორედ მაშინ წააქციეს, როცა გიამ თოფი გაისროლა.



### ილია სინბარდიძე

უფრთხილდება ზურა დიდი ძიას სურათს, ისე მორთო ჩარჩო, რომ მის ნახვას რა სჯობს!!  
გაღმომპყურებს სურათიდან ძია გაღიმებით;  
უხარია ზურას დიდად, ფიქრობს: „გავიზრდები და გავხდები ძიასავით ხალხის საყვარელი, თმა მექნება სქელი, შავი, ულვაშებიც სქელი. გავიზრდები, დავასრულებ სწავლას ფრიალებზე“ —  
ფიქრობს ზურა და ხანდახან ხელს გაღისვამს თმებზე, და ყოველდღე, სკოლიდან რომ დაბრუნდება ზურა, იგი დღიურს გადაუშლის დიდი ძიას სურათს: უხარია ზურას დიდად, რომ აქვს ფრიალები, გაღმომპყურებს სურათიდან ძია გაღიმებით;

როგორ ჰშვენის ყალიონი, ულვაში და თმები!  
ეფურჩქნება ზურას სახე სინბარულის ვარდად, ოჯახშიაც მუყაითობს იგი სწავლის ვარდა.  
ზურას ძლიერ ეჩქარება გაიზარდოს მაღლე: დიდი საქმის გაკეთებას ძია დაავალებს; რაგინდ რთული საქმე იქნეს, ზურა თავს გაართმევს, „ყოჩაღ!“ — ეტყვის დიდი ძია და ხელს ჩამოართმევს. რადიოდან ძიას სიტყვა ბევრჯერ მოისმინა, იცნობს იმის ხმას და კილოს, სახეც უღვას წინა, მაგრამ მანც ენატრება ნახოს ძია მაღლე; ფიქრობს ზურა, თანაც სურათს ვერ ამორებს თვალებს.







# ჭ ი რ კ ა

(ხალაპრი)

1.

ძველად, სულ ძველად, აი მაშინ, როცა არც მე ვიყავი და არც თქვენ, არც ჩვენი ბაბუა იყო და არც ბაბუას ბაბუა, აი მაშინ, შეგობრებო, კოლხიდაში ჭობიცი არ იყო.

არც კოლო იყო, არც ბაყაყები.

მინდვრები საესე იყო წითელი ყვავილებით, ტყეები საესე იყო ჩიტებითა და ირმებით, მდინარეებში უღვგელი იყო გემრიელი თევზი.

ბალები საესე იყო ბროწეულით, ლელვით, ატმითა და ყურმნით. ბროწეული აღისფერი, მსხვილი იყო. როცა დამწიფდებოდა და გაიხლიჩებოდა, მსუქან მარცვლებს გამოაჩენდა, თითქოს იციხისო. ლელვი იყო ფართო, ტბილი. როცა დამწიფდებოდა, პირს გააღებდა ბეშევივით. ატამი ქარვისფერი იყო, სურნალოვანი, კაცის თავის ტოლა. იგი დინჯად ეკიდა ტოტზე. ყურმენი... ოჰ, როგორი ყურმენი იცოდა ძველად კოლხიდაში!

შავი ოჯახეში, მალა-მალა რომ აჰყვებოდა ხეებს და მზეს ეფრტებოდა. წითელი ქითაში, რომელსაც მსხვილი და თაფლივით ტბილი მარცვლები ჰქონდა...

და კიდევ ბევრი, ბევრი ხილი იყო კოლხიდაში.

მაშინ ციება არ იყო კოლხიდაში და ლოყაწითელი ბავშვები ხალისით თამაშობდნენ მინდორში.

მაშინ ცხოვრობდა კოლხიდაში კოჩა.

კოჩა მიწისმუშა იყო. მიწა იყო მსუქანი, ბარაქიანი. ერთ კალათა მარცვალს დათესდი და ერთ ნალიას აავსებდი. აბა, ასეთი იყო მაშინ მიწა კოლხიდაში!

თავისუფალ დროს კოჩა ტყეში ირემს ნადირობდა, წყალში — თევზს და რიანის ნაპირას — აფერადებულ ხოხობს.

2.

ერთ დღეს კოჩა ტყეში წავიდა. ტყეში მდინარე დიოდა. იმ მდინარის ნაპირს წისქვილის

გამართვა უნდოდა. შეარჩია და მოჭრა მალა-ლი, მსხვილი თელა, გაიღო მხარზე, შეაშველო ცული და წამოვიდა. იარა, იარა და მდინარემდის მივიდა. მდინარეში ანკარა წყალი იყო. იგი მხიარულად მირბოდა შავი ზღვისაკენ. ერთ ადგილას ნახტომს აკეთებდა და ჭორბოშე თეთრი თევზები ხტოდნენ.

— აი აქ გავმართავ წისქვილს. კარგი ალაგი ყოფილა, — თქვა კოჩამ და ჩამოაგდო თელა. მშრალ მიწაზე ხემ ბრაგვანი მოიღო. ჩიტების ევიღბივიღს ჩქარა კოჩას ცულის კაცური შეერია.

— ეი, ვინა ხარ მანდ, რომ მალევიტბ? — მოესმა კოჩას.

კოჩამ მიხედ-მოიხედა, არაინაა. გაუკვირდა. — ალბათ მომესმა, — იფიქრა კოჩამ და განაგრძო მუშაობა.

— ეი, ვინა ხარ მანდ, რომ მალევიტბ? — ისევ მოესმა კოჩას. კოჩამ ისევ მიხედ-მოიხედა. არა-ინაა. მოღერებული ცული ჰაერში გაუჩერდა.

— რა ეშმაკია? — იფიქრა კოჩამ და მოიქნია ცული. მაგრამ ხის ნაცვლად ცული მიწას მოხედა.

— გმუ-უ-უ! — დაიგმინა მიწამ.

— რა ეშმაკია? — წამოძახა კოჩამ.

— ეშმაკი კი არა, მე ვარ! — მოესმა კოჩას და ერთი ხის ღრუდან უცნაურმა არსებამ ამოყო თავი.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა კოჩამ.

— არ მიცნობ? მე ქინკა ვარ.

და ქინკა ამოხტა ღრუდან, ჩამოხტა ძირს და კოჩას წინ ტრიალი დაიწყო.

ქინკა პატარა იყო, მუხლამდის მისწვდებოდა კოჩას. ტანზე აბურბგენილი თმა ჰქონდა, კულს აქციუნებდა, კბილები ყვითელი ჰქონდა, თვალეზი წითელი, ცხვირი ჰაქუა, შუბლი დაბალი, ყურები ფართო, თითებზე გრძელი შავი ფრჩხილები. ქინკა ერთ ალაგას ვერ ჩერდებოდა და ტრიალებდა.

— რა გინდა? — ჰკითხა კოჩამ ჰინკას.

— ეს ტყე ჩემია, ეს მდინარე ჩემია, ეს მიწა ჩემია, — თქვა ჰინკამ, — აქ აღმდინანა არ უნდა შემოხედოს, ჯერ არავინ მოსულა აქ.

— რას ამბობ? — უბასუხა კოჩამ, — ტყეც მდინარეც და მიწაც იმისია, ვინც იმუშავებს.

— ტყეც, მდინარეც და მიწაც ჩემია, — გაბრაზდა ჰინკა.

— აბა სად გავმართო წისქვილი? — ჰკითხა კოჩამ.

— სადაც გინდა, გინდა ზურგზე, — გაიცინა ჰინკამ.

— ხუმრობ თუ? — ისევ ჰკითხა კოჩამ.

— ამ ტყეში მძინავს, ამ მდინარეში პირს ვიბან, ამ მიწაზე ვსერირობ. გასწი ახლავე, გამეცალე! — ისევ გაბრაზდა ჰინკა.

ახლა კოჩაც გაბრაზდა.

— როგორ თუ გავცალო? მე აქ წისქვილი უნდა გავმართო!

— წადი, კოჩა, თორემ ინანებ! — დაეჭადა ჰინკა.

— უყურე ამ გლახას! — გაეცინა კოჩას.

— მაშ არ წახვალ? არ მიატოვებ ჩემს ტყეს?

— არ წავალ და არც მივტოვებ!

ჰინკა ახტა და ზურგზე შეახტა კოჩას. კოჩა დაიკუზა და ჩამოავლო ჰინკა. ჰინკა ახტა და მხარზე შეახტა კოჩას. კოჩამ ხელი სტაცა და ჩამოხიო. უნდოდა ფეხქვეშ მოეგდო, მაგრამ ჰინკა ხელიდან გაუსხლტა და მეორე მხარზე შეახტა. შეახტა და ხელები უღვავებში ჩასჭიდა. ჩასჭიდა და უღვავებზე ჩამოეკიდა. კოჩამ ჰინკას კულში ჩაავლო ხელი.



გაიმართა ბრძოლა. კოჩა ჰინკას კულს შეხვეს, ჰინკა კოჩას უღვავებში. არც ერთი უშვებს და არც მეორე. მაშინ კოჩამ ცალო წყლის ილლიაში შეუღლიტინა ჰინკას.

— უი! — შეტყვირა ჰინკამ და უშვა ხელი.

კოჩამ ჰინკა ფეხქვეშ მოიგდო. ურტყა და ურტყა, იმდენი ურტყა, რამდენი თევზიც იყო მდინარეში, რამდენი ხეც იმ ტყეში და რამდენი ფოთლოვანი ხეცა იმ ხეებს. შემდეგ აათრია კულით და შორს გადაისროლა.

— ბუქ! — დაბოყინა ჰინკამ წამოხტა და მდინარეში ჩაირბინა.

ჩაცუქდა, გასისხლიანებული პირი მოიბანა. მდინარე მაშინვე გაშვედა. ანკარა წყალი კუბრივით გახდა. გაუკვირდა კოჩას. ჰინკამ ბანჯგვლიანი კულით პირი მოიხოცა და დამეჭკრა კოჩას:

— მაცა, კოჩა, შენ რა გიყო! დაბადებას გაწყველინებ!

ახტა, დახტა და გაჭრა ტყეში.

### 3.

ვის გიქამიათ კოლხიდური ელარჯი? კარდალაში რძის ფაფას ააღუღებენ, რძეში მსუქან ყველს ჩაჭრიან და მოხარშავენ. ყველი დაბუყდება, გაფუფდება, წებოვანი გახდება. როგორც რომ ცოტა ამოიღო და ხელით მოსწიო, აბრეშუმის ძაფივით გაიწვეს, ჰიშკრამდის რომ გასწიო, არ გაწყდება.

რა გემრიელია ელარჯი! ელარჯს ვერაფერი შეეღრება. ელარჯი უნდა ჭამო, რომ მისი გემო დააფასო. ან კოლხიდური შეღებური, ერთი მტკაველის სისქე. დაჭრილ ყველს თხელ კომს ზეწარივით შემოახვევენ. იქ, სადაც კომს კიბს შეუკრავენ, კვერცხის გულს დაანთხევენ. კომს ღრმა კეცში ჩასვამენ, კეცის თავს თუნუქს დაახურავენ, თუნუქზე ნაკვერცხალს დაყრიან და ცხებმა შეღებური, — დაბლა გახურებული კეცი, ზევით გახურებული თუნუქი, შუაში კომი და ყველი, ორივე იწვის და იხარშება...

აი, რას ამზადებდა ჯახანა, კოჩას ცოლი.

— დალღილი მოვა და მშვიერი, — ფიქრობდა ჯახანა და ლოყებშებრაწული ტრიალებდა.

— უჩანა, ნანა, — უთხრა ჯახანამ შვილს, — ხოხობი არ დამიწვა, კარგად ატრიალე.

ლოყებდაცდაცა უჩანა ხის შამფურზე წამოცმულ მსუქან ხოხობს ატრიალებს. ხოხობი გა-

წითლებულა, ქონი ყონავს, ნაკვერცხლებზე  
წვეთავს, იწვის და შიშინებს.

— ფრთხილად ატრიალე, მე მარანში წავალ,  
ოჯალეშს მოვიტან, მამაშენს უყვარს,—ამბობს  
ჯახანა.

— უჩანა! უჩანა!— მოისმა უცებ.

— გადი, შვილო, ნახე ვინაა,—უთხრა დე-  
დამ უჩანას.

უჩანა გავარდა კარში და ცოტახნის შემდეგ  
გაკვირებული დაბრუნდა.

— არაინაა!— თქვა უჩანამ.

— უჩანა! უჩანა!— ისევ მოისმა.

— როგორ თუ არაინაა? არ გესმის?— შე-  
მოსწყრა დედა.

უჩანა ისევ გავარდა კარში. ცოტა ხნის შემ-  
დეგ ისევ გაკვირებული დაბრუნდა.

— არაინაა!— ისევ თქვა უჩანამ.

— უჩანა! უჩანა!— ისევ მოისმა.

— როგორ თუ არაინაა! არ გესმის?— ისევ  
შემოსწყრა დედა.

ისევ გავარდა უჩანა. დიდხანს არ დაბრუნე-  
ბულა. როცა დაბრუნდა, დარცხვენით და თქვა:

— ვერაინ ვნახე!

-- ჯახანა! ჯახანა!— მოისმა ახლა.

დედა და შვილი ერთად გავიდნენ. მთელი  
ეზო შემოიარეს, ვერაინ ნახეს.

— ფუი ეშმაკ!— თქვა ჯახანამ, შვილს ხე-  
ლი მოჰკიდა, შინისაკენ გასწრა.

უცებ ლობესთან ცხენის ფრუტუნე მოესმათ.  
მივარდნენ ლობეს. საწყალი ცხენი ლობესთან  
წაქცულიყო და კვებობდა.

— დილუე!— შემოჰკივლა ჯახანამ. — ვინ დაგ-  
ვლუბა, ვინ მოკლა ჩვენი ცხენი?!

— ჩვენი კანჯარი! ჩვენი ლამაზი კანჯარი!—  
ატირდა უჩანაც და შემოგზვია კანჯრის კისერს.

ბევრი იტირა უჩანამ, მაგრამ მკედარს რა  
გააცოცლებდა.

სალამოს კოჩაც დაბრუნდა ტყიდან. მკედარი  
ცხენი რომ ნახა, შეიკრა წარბები.

— ეს კინკის საქმეა, — თქვა კოჩამ. — შემჯდა-  
რა ცხენზე და გაუბერავს სირბილით.

მერე მამამ შვილი ასე ანუგეშა:

— ნუ ტირი, შვილო! უკეთეს ცხენს ვიყი-  
დი, იმასაც კანჯარი დავარქვათ...

მეორე დღესვე წავიდა კოჩა და ისედი ცხე-  
ნი იყიდა, რომ ხუთ კანჯარს სჯობდა. შეკა-  
მა, შეგჯდა და ცხენი სათამაშოდ წაიყვანა.  
— მოიცა, კოჩა, რა გიყო! — ისევ დღესვე  
რა კოჩას ჰქინჯა.

იმევე დამეს ჰქინჯამ კოჩას ორივე ხარი გა-  
ირეკა ტყეში და მგლებს შეაქამა. ბევრი ემე-  
ბა კოჩამ ხარები და ტყიდან მხოლოდ რქები  
გამოიტანა.

— დილუე! — შეჰკივლა ჯახანამ მეორე დღეს.

— ვინ დაგვლუბა, ვინ გარეკა ჩვენი ხარები?

— ჩვენი ხარები! ჩვენი ლამაზი ხარები! —  
ატირდა უჩანაც და ხარის რქები ჩაიხუტა.

— ჩემი ლომა და ღვინია!

— ეს კინკის საქმეა, — თქვა კოჩამ. — მან გა-  
რეკა ჩვენი ხარები ტყეში.

მერე მამამ ოჯახი ასე ანუგეშა:

— ნუ ტირით! მე უკეთეს ხარებს ვიყიდი,  
იმათაც ლომა და ღვინია დავარქვათ.

მეორე დღეს კოჩამ ისეთი ხარები იყიდა, თი-  
თოს სამი არშინი რქა ჰქონდა.

— მოიცა, კოჩა, რა გიყო! — დამეუჭრა ტყი-  
დან ჰქინჯა კოჩას.

იციტ, რა ჰქნა ჰქინჯამ? ვერა, თქვენ ვერ მიხ-  
ვდებით, რა ჰქნა ჰქინჯამ, სჯობია ისევ მე გით-  
ხრათ.

სალამოს, როცა ბუხარში ცეცხლი დაანთეს,  
ჰქინჯა ბუხარის თავზე დაჯდა, ბოლი არ აუშვავ  
ზევით. ცეცხლი გაუჩნდა სახლს და დაიწვა.

— დილუე! — კიოდა ჯახანა. — ჩვენი ოდა!  
ჩვენი დიდი ოდა.

— ჩვენი ოდა! ჩვენი ლამაზი ოდა! — ტიროდა  
უჩანაც.

— ეს კინკის საქმეა, — უთხრა ცოლშვილს  
კოჩამ, — ნუ ტირით, მე უკეთეს ოდას ავაგებ.





მართლაც, ისეთი ოდა ააგო, კაცის თვალი უკეთეს ვერ ნახავდა...

დაფიქრდა ჭინკა.

— რაშია კოჩას ძალა? რატომ ვერ მოვერთო კოჩას? — თქვა ჭინკამ.

იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა.

ერთ დღეს, როცა კოჩამ ცხენი შეკაზმა და ლხინში წავიდა, ჭინკამ ნაბადი მოიხურა, ყაბალახი სახეზე ჩამოიფარა, ჯოხი ხელში აიღო და მიადგა კოჩას ქიშკარს.

— ეი, მასპინძლო, შორი გზიდან მოვდინვარ, წყალი დამალევიწე! — ჯახანამ გამოიტანა წყალი. ჭინკამ დალია და უთხრა:

— ნეტავი ვიკოდე, რაშია თქვენი ძალა, რომ დაგლოკოთ.

ჯახანამ იცოდა, რომ მგზავრის დალოცვა ოჯახის სასარგებლოა, და უპასუხა:

— ჩვენი ძალა მიწაა, ბატონო! მიწა ჩვენი მასაზრდოებელი. ჭინკამ ცხენი მოგვიკლა, ხარები მგელს შეეკამა, ოდა დაგვიწვა, მაგრამ მიინც კარგად ვართ. სანამ ასეთი მსუქანი მიწა გვაქვს ვინ რას დაგვაკლებს!

— ჰოო! — თქვა ჭინკამ და გადაიხარხარა. გადაიხარხარა და გაქრა.

4.

რამდენიმე დღის შემდეგ კოჩა ისევ წისკვილისაკენ გაემართა. მიდის და უკვირს: მიწა ფაფალა გამხდარა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე თითქოს დუღღუნებს. ფეხები მუხლებამდის ეფლობა. არც ირემი, არც შველი არ ჩანს. ჩიტებიც არ დარჩენილან. ყველაზე საოცარი ისაა, რომ ტყეს წყალი შესდგომია და მიწა დაქობებულია. ქაობში ბაყაყები ყიყინებენ:

— ყი-ყი-ყი-ყი! ყუა! ყუა! ყი-ყი-ყი-ყი! ყუა! ყუა! კოლოს ლაშქარი ბზუის და წინის!

— ზ... ზ... ზ... ზ... წუუ! ბზუ-ბზუ-ბზუ-ბზუ-ბზუ-ბზუ!

მწარედ იკბინება. უამრავი წურბელა იკლავნება მდორე წყალში. დგას საშინელი შმორი და მიცვალებულის მიხრწნილი ფერი გადაჰკვრია არემარეს.

კოჩამ ხეს ტოტი მოსტეხა კოლოების მოსაგერებლად, მაგრამ კოლოებმა უფრო გამწარებით დაუწყეს კბენა, უფრო გაბრახებით დაესივნენ კოჩას:

— ზ... ზ... ზ! წუუ! ზ... ზ... ზ... წუუ!

სანამ წისკვილში მივიდოდა, წელადმის დასველდა კოჩა. იმ წისკვილიც კოჩამ გელაზი აატრიალა.


— კოჩა, ხომ გადაგიხადე მაგიერი? — მოესმა კოჩას. კოჩამ მოიხედა. ხის ფულუროდან თავი ამოყო ჭინკამ.

— ხომ შევიტყვე შენი ძალა! — უთხრა ჭინკამ, — მიწა ყოფილა შენი ძალა. მე იმ მიწაზე წყალი მიეუშვი და დავაქობე, კოლოები და წურბელები ვავინინე, ციება და უემური მოვიყვანე. გავღარბე! ეძებე ახლა შენი ძალა და მანამ იყავ უმედური, სანამ იმ ძალას მიაგნებდე!

— ახავი კოჩა! — იტყია კოჩამ შუბლზე ხელი.

— ვაი კოჩა! — დასძახა ჭინკამ, ფულუროდამ ამოხტა და გადაიხარხარა.

ძველად, სულ ძველად მოხდა ეს ამბავი. აი მაშინ, როცა არც მე ვიყავი და არც თქვენ, არც ჩვენი ბაბუა იყო და არც ბაბუას ბაბუა. აი, როგორ განდა კოლხიდაში ქაობი.





# ნახვამდის

მწკრივ — მწკრივად გადაუარეს  
გულში ჩვენს ეზოს ხმაურით,  
დიდხანს ისმოდა ქლურტული,  
ქიკქიკი, აურზაური.

წავიდნენ, გადაიფრინეს  
წელმოწყვეტილი ფარფატი  
და თითქოს ფრთების შრიალით  
ძირს მოგვძახოდნენ: „ნახვამდის!

ნახვამდის, გაზაფხულამდე  
თქვენთან ვართ მაინც გულითა,  
გაინაპირებს ზამთარი,  
კვლავ მოვალთ სიყვარულითა.

ხალისი მშობელ ბუნების  
იქაც გულს დაგვეპურება,

თან სიყველუცე მიგვეცემა,  
ისე მივიღვართ სტუმრებად.

იქაც გაგვატობს ჩვენი მზე,  
დაგვექროლავს ტკბილი ნიავი,  
აგვაქიკიკებს ლამაზად  
გულს ჩარჩენილი სიამე.

მივუხმატკბილებთ მთა-ველებს  
ქვილ-ხვილს და გალობას,  
ვერ შეგვაშინებს ვერასდროს  
ბუნების ცვალებადობა.

სულ იყვავილებს ჩვენს გულში  
ამწვანებული მინდორი,  
და სანამ დავბრუნდებოდეთ,  
გულისვარდებო, მშვიდობით!“



## გმირის ნახვა


### გიორგი კაჭახიძე

ველოდით და ვნახეთ კიდევ  
ბუნდური ხალხის გმირი,  
კაცი სადა, მომხიბვლელი,  
მტრებთან რისხვა, ზიოდაზირი.

უსასღვრო გვაქვს სისარული,  
უსასღვრო გვაქვს აღტაცება,  
ეს ძღვევარე ჩვენი გრძნობა  
არასოდეს არ დაცხრება.

მუდამ დაგვდექს ერთი ნატვრა,  
მას არ ვფარავთ, ახლაც ვამხელთ:  
როგორ გვინდა, ჩვენც ოდესმე  
ვატარებდეთ გმირის სასჯელს.

მერე ქვეყნის სამოქმედო  
რა დიდია და რა ვრცელი!  
ო, რაძღვნი ჩვენთაგანი  
ღირსეულად ორდენს ელის!





მტრები შემუსრა ერეკლემ და შინ გახარებული დაბრუნდა. ასეთ დროს მან თავის შვილებთან იცოდა ხოლმე თამაში, ისე გაერთობოდა, თითქოს საქვეყნო საქმე აღარც ასსოვდა. თავისი პატარა თეკლა ძალიან უყვარდა ერეკლეს. ბავშვმა ჯერ კიდევ ფეხი არ იცოდა, რომ ცხენზე შემოისვამდა, უნდოდა მალე ესწავლებინა ცხენოსნობა. ოხთი წლის თეკლა მარჯვედ იჭერდა ხოლმე სადავეს, პატარა გოგონას ცხენოსნობა ყველას აკვირებდა. მან რომ პირველად დაუხმარებლად გაატარა ცხენი, მაშინ აღფრთოვანებულმა ერეკლემ წამოიძახა:

— ჩემი თეკლა მართლაც რომ მე მგავს, გაიზრდება და ვაჟაკს აჯობებს!  
— დია რომ თქვენი გული აქვს თეკლას, მოწყალეო ხელმწიფევ, — მიმართა სახლთუხუცესმა.

— დიდებულო მეფევ, — თავდახრით უთხრა ჰაბუა ორბელიანმა, — მე არ მახსოვს თქვენი ბავშვობა და ვერც არას ვიტყვი, მაგრამ მომსწრენი ამბობენ: ბავშვობაში ერეკლევც ასეთი იყო.

ჰაბუამ ყოველთვის მეფის სასიამოვნო სიტყვის წარმოთქმა იცოდა, ახლაც ერეკლეს გული მოიგო.

გახარებულმა ერეკლემ მეფემ თავისი თეკლა ცხენიდან ჩამოსვა, გადაკოცნა, ბურთივით შეათამაშა. გოგონა იცინოდა, საყვარელ მამას პატარა ხელებით ეტატუნებოდა.

მამა და შვილი ერთმანეთს ეფერებოდნენ. მათი აღერსით დამსწრენიც ტკებოდნენ. იქვე იდგა ახლადგაახანურებული, ყოფილი გლეხი, გიორგი ნათელაშვილი. ესეც თვალგაბრწყინებულ იყო, ფიქრობდა: აი, ბედნიერი ბავშვიო.

— მონადიმენო, — დაიძახა ერეკლემ და თან ხალხს უჩვენა თეკლა, თითქოს აქამდის ვერ ხედავდნენო, — ჩემს თეკლას სიგელი უნდა ვუბოძო.

— ოჰ, სიგელი, სიგელი თეკლა ქალს! — წამოიძახეს დიდებულებმა. მეფე თითქოს გაწყრაო, წარბი განგებ შეიქმუნხა და ხალხს უთხრა:

— თქვენ ცდებით... მე ახლა დაწერ სიგელს და იგი გაუწყებთ, თუ რა იქნება შემდგომად ჩემი თეკლაი.


ერეკლემ ასეთი სიგელი შეადგინა:

„გიბოძე ეს სიგელი შენ, ჩვენს ქალს თეკლა-ბიქს. თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავ ცნობილი, მაგრამ ამიერითგან გიწყალობებ ბიქის სახელს და ვუბრძანებ შენს ძმებსა და დებს, ამიერითგან გიწოდონ თეკლა-ბიქი“.

მონადიმეებმა ხუმრობით ნაბოძები სიგელი მოისმინეს, გამხიარულდნენ. ეს სიგელი დაამტკიცეს ანტონ კათალიკოსმა და თეკლას ძმამ იულონ ბატონიშვილმა.

ერეკლემ ისიც კი ბრძანა, რომ თეკლა-ბიქისათვის ვაჟური ტანისამოსი ჩაეცმიათ. მეფის ბრძანებას ვინ გადაუხვევდა, თეკლა ვაჟური ტანისამოსით შემოსეს.

ამ სიგელის დაწერის შემდეგ ცოტა ხანი გავიდა. თბილისი საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა. ბავშვები და ქალები დახიზნული იყვნენ. ქალაქში აღარც ერეკლეს ცოლი იმყოფებოდა თავისი მცირეწლოვანი თეკლა-ბიქით. მამას ძალიან ენატრებოდა საყვარელი შვილის ნახვა, ხშირადაც კითხულობდა: ჩემს თეკლა-ბიქს ხომ არაფერი აკლიაო... ხილი უყვარს და არ მოაკლონო.



დედამ ხუთი წლის თეკლას უკვე ასოები შეასწავლა. ეს ისე მოხდა, რომ ერეკლემ არც კი იცოდა. დედამ უთხრა პატარა თეკლას:

- ჩემო თეკუნა-ბიჭო, წერა იცი?
- ვიცი.
- შეგიძლია მამას წერილი მისწერო?
- შემიძლია.

დედას ძალიან გაეხარდა, გადაეხვია თავის გოგონას, გულში ჩაიკრა, ჰკოცნიდა.

— ჩემო თეკუნა-ბიჭო, ძალიან გაეხარებდა, მისწერე, მისწერე!

თეკლა-ბიჭი აფუსფუსდა, მაშინვე საწერკალამი მოარბენინა, მიუჯდა მაგიდას, მაგრამ დასაწერი ვედარაფერი მოიგონა. მერე ისევ დედას მიმართა:

- რა მივსწერო მამას?
- რა მისწერო?! აი, ასე: ჩვენ კარგად ვართ. დედამ წიგნი მასწავლა.

— ო, რა კარგია... რა კარგია! — აღფრთოვანებით წამოიძახა თეკლამ, ხტუნვაც კი დაიწყო.

ამ ორიოდ სიტყვის დაწერას დიდხანს მოუნდა თეკლა-ბიჭი. ბარათი მაშინვე ერეკლესთან გაგზავნეს. მამა ძალიან გააოცა შვილის წერილმა, ფრიად გაშხიარულდა.

ერეკლემ თეკლა-ბიჭის ნაწერი ვერც კი გაიგო, მაგრამ ლაშქრად მიმავალი მფეფ მაშინვე შეჩერდა, დაჯდა და წიგნი დაწერა:



გახარებულმა ერეკლე მფეფმ თავისი თეკლა ცხენიდან ჩამოსცა...

„თეკლა-ბიჭსა! თეკლას, მამისა და დედის სიხარულს: მადლი, წყალობა და მშვიდობა.

თეკუნავ ჩემო, შენი სიბრძნით სავესწიგნი მომივიდა. ფრიად მამა, მაგრამ უცხო ოსტატობით და მდივანბეგობით იყო შესრულებული, უფრო არაბულს ხელს გამსგავსებინა, მეტის სიღრმისაგან ვერ ამოვიკითხე და ვერც არა შევიტყუე. შენთვის ახლა პირსკოცნა მომიხსენებია. ჩემ მაგიერად დედა შენმა გაკოცოს“.

ერეკლეს თავის შვილები ყველა ასე აღერხით ჰყავდა გაზრდილი, მაგრამ მრისხანებაც დიდი იცოდა, თუ შვილი დანაშაულის ჩაიდენდა.



# ქეთინოს ანგარიში



ძია არტემი სამი დღეა შეუძლოდ არის, სურდო აქვს, წევს და ოხრავს.

— ოჰ, მომბეზრდა წოლა! ქეთინო, დახედე, რა დროა, — მიმართა ძია არტემმა კუთხეში მოფუსფუსე ძმისწულს, რომელიც ამ დროს დედოფალასთან თამაშობდა.

ქეთინო წამოხტა.

— სად არის, ძია, საათი?

— აი იქ, მაგიდაზე.

გოგონამ მიიჩინა მაგიდასთან, შეატრიალა საათი, მერე თითი გააყოლა და თქვა:

— ძია, აქ ექვსი საათია!

— რაო? რა დროს ექვსი საათია, გოგო?

— აი—ერთი, ორი... — ბუტბუტებდა ქეთინო. — ესეც ექვსი! ძია, ექვსია!

— მომეცი აქ ეგ საცოდავი საათი!

გოგონამ კვლავ სტაცა ხელი საათს და ძია არტემს მიუჩინა. არტემმა დახედა და თქვა:

— ეჰე! მართლა ექვსი საათია! მოიცა, მოიცა, — და ყურზე მიიღვა. — ამ ზარმაცს დაუძინია!

— ჰა—ჰა—ჰა! — აკისკისდა ქეთინო. — საათს დაუძინია, საათს! — და ტაში შემოკრა.

— გაიჩინე, დეიდა ნუცას ჰკითხე, რომელი საათია, მალე!

ქეთინო გაცუნკულდა და ცოტა ხნის შემდეგ ასკინკილა შემოვარდა, თან იძახოდა:

— ხუთი, ხუთი, ხუთი...

— რაო, რა გითხრეს, რომელი საათია?

— ხუთი, ხუთი! — და თავის დედოფალას დაავლო ხელი.

— ნუ ცუდლუტობ, ქეთინო, რა დროს ხუთი საათია, — ცოტა არ იყოს, გულმოსულმა უთხრა ძია არტემმა.

ქეთინო შედგა, კოპები შეიკრა და დინჯად თქვა:

— რა ექნა, ძია, ხუთიაო და...

ამ დროს ქეთინოს ბიცილა შემოვიდა.

— ქალო, გადი ნუცასთან, შენ მინც გაიგე, რომელი საათია, — მიმართა ცოლს არტემმა, — ჩვენი საათი გაჩერებულა.

ქეთინოც გაგდევნა ბიცილას.

მალე ორივენი დაბრუნდნენ.

— ათის ნახევარია, — უთხრა ცოლმა არტემს.

— ამ ცუდლუტმა კი მითხრა ხუთიაო, ღიმილით თქვა არტემმა.


— ძია, შენ არ იცი თელა? ხომ გითხარი ხუთი საათია მეთქი, რატომ არ დამიჯერე?

— გოგო, ხუთი კი არა, ათის ნახევარია!

— მერე, ათის ნახევარი ხომ ხუთია?! — უპასუხა გოცეხულმა ქეთინომ. აი, — ერთი ხელი ხუთი და მეორე ხელი ხუთი, ხომ ათი იქნება? ათის ნახევარი კი ხუთია! ძია არტემი და ბიცილა ღიდა სიცილით კვდებოდნენ. ქეთინოც აკისკისდა.

ასე გაიმარჯვა კუდრაქე ქეთინომ.

ძია არტემი ამ შემთხვევას ხშირად უამბობდა ამხანაგებს, და ყველას ამხიარულებდა ქეთინოს ანგარიშით.







# პირველი გასროლა



საბერველი მძიმედ ქშინავდა, ქურას შავი ბოლი ასლიოდა და სამქედლოს ყავარახდელ სახურავში ძვრებოდა.

რკინის გახურების მოლოდინში უტუმ გამურული ახალუხის კალთით მოიწმინდა სახე, წითურ უღვაშებზე ხელი გადაისვა და ურომომარჯვებულ თხუთმეტი წლის ბრგე შეგირდს გადახედა.

კარგი შეგირდი გამოდგა კოჩა, შვილივით უყვარს უტუს. კოჩა ამ ოთხი-ოდე თვის წინათ მოიყვანა ბატონის შინაყმა ლამაზისამ. იმ დღეს წვეულება ჰქონდა ბატონს. ნადიმი მთელი კვირა გაგრიძლდა. მოურავი თავისი ბიჭებით დათარეშობდა სოფელში და ერეკვებოდა ნახირს სტუმრებისათვის. დამწუხრებულნი გლეხები მისტიროდნენ ოჯახის მარჩენალ ხარ-ძროხას.

კოჩას დედ-მამა ბატონმა იმერელ მე-ბატონეს გაუცვალა მონადირე მიმინაში. ექვსი თვის კოჩა ბებიამ გაზარდა ისლით დახურულ შეღობილ ქოხში, თხუთმეტ წლამდე მიიყვანა. ცელქი, დაუდგარი იყო კოჩა. ჩხუბი და ქიდაობა უყვარდა. თავის უფროსებსაც ეჭიდავებოდა და ხშირად გამარჯვებულიც გამოდიოდა. ერთხელ ბატონის შვილი ლევანიც კი გააგორა. ლევანმა ითაკილა, როგორ წამაქციეო, და ხელი გაართყა, მაგრამ როცა სეტყვასავით მიიყარა სახეში მუშტები კოჩამ, ღრიალი დაიწყო... ბატონმა კოჩა საქათმეში დაამწყვდია. მთელი დღე მწიერმა ვაატარა ამწმორებულ ნეხეში. საღამოს გამოუშვეს.

იმ დღეს, როცა წვეულება ჰქონდა ბატონს, მოურავმა წაიყვანა მათი მარჩენალი ძროხა. ემუდარებოდა ბებია, ცრემლებს ღვრიდა, მაგრამ არ იქნა, ვერაფერი შეასმინა ამ „ოჩოკოჩას“.

ბებია შვილიშვილით აედევნა ძროხას.

ბატონის ეზოში დიდი ალიაქოთი იყო. ირგვლივ სიცილი, სიმღერა, ჯირითი იყო გამართული. ბებია პირდაპირ ბატონთან მივიდა, რომელიც სტუმრებში ჩამჯდარიყო და რომელიღაც ნადირობისამბავს უყვებოდა. — თქვენმა მოურავმა ძროხა წამართვა და დამიბრუნეო, — სთხოვა ბებია. ბატონს შერცხვა, გაწითლდა და მოურავი იხმო: — ახლავე მიეცი ძროხაო. მოურავს გაჰყვა ბებია. მარნიდან ისმოდა ძროხების ბლავილი, იქ იყო სასაკლაო. გვიან იყო, მისი ძროხა ყელგამოჭრილი იყო ხეზე ჩამოკიდებული. ბებიას თვალთ დაუბნელდა, ერთი დაიკივლა და იქვე დაეცა. პირიდან სისხლი წასკდა, ფერი წაუვიდა. როცა მიუახლოვდა მოხუცს შინაყმა ლამაზისა, ნახა: გაცივებულიყო მოხუცი.

იმ დღიდან შეეზიზნა კოჩას ბატონები... დანახვაც კი გაურკვეველ შიშს ჰგვრიდა მას.

კოჩა უტუს შეგირდი გახდა. უტუმ კარგად ჩააცვა. ზუგდიდის ბაზრობაზე ჩოხა და უძიროები უყიდა, ფაფახი და ბალთიანი ქამარი ებრაელისაგან იყიდა. სატევარი თვითვე გააკეთა კოჩამ. უტუმ პატარა დამბანა აჩუქა ვერცხლით მოკქვილი. ჩუქებისას უთხრა:

— უმიზნოდ არ დახარჯო პირველი გასროლა. დამბანის პირველი დაცლით ერთი ბატონი მოაშორე დაჩაგრულ გლეხებს.

კოჩამაც მისცა პირობა: როცა გავიზრდები, ბატონებს მოვკლავ აფხაზი ყაჩაღივითო.

რკინა გახურდა.

სამქედლოში ატყდა დამაყრუებელი რაკარუკი. ურტყამს კოჩა უროს, თანაც

ოსტატს აძლევს დიდი ხნის წინათ გონებაში ჩასახულ შეკითხვას:

— ბიძია უტუ, აი შენ მთელი დღე-ღამე მუშაობ და ამ ქოხის მეტი არაფერი გაქვს. ბატონი კი მთელ თავის სიცოცხლეს ლხინში ატარებს და ყველაზე მდიდარია. რატომ არის ეს ასე?

უტუს მოქნიული ჩაქუჩი ჰაერში გაუშეშდა, აღმაცერად ახელ-დახედა შევირდს.

— იმიტომ, რომ ის ბატონია, — და დაუშვა ჩაქუჩი გრდემლზე. ამ პასუხით არ დაკმაყოფილდა კოჩა.

— მერე და რატომ შენ არა ხარ ბატონი?

— მე... მე... — თითქოს დაიბნა უტუ — ჩემი მამა-პაპა გლეხები იყვნენ.

— მერე, სულ გლეხები უნდა იყო? — არ ასვენებს კვლავ კოჩა.

— კანონში ასე წერია, — ეუბნება უტუ.

— კანონის შეცვლა არ შეიძლება?

— ვინ შეცვლის კანონს? მეფე? კანონი რომ შეცვალო, მთავრობაც უნდა შეცვალო. მიდი, დაჰკა!

კოჩაც ურტყამს უროს.

\* \* \*

შემოდგომის ღრუბლიანი დილა იყო. ცხენოსანი დაქვეითდა სამკვედლოსთან, მთრახის ტარით აიწია თვალეზზე ჩამოწოლილი ყაბალახის ტოტი და კარებთან გაჩერდა. კოჩამ გააგდო ხელიდან ურო და მოსულს ყელზე ჩამოეკიდა.

— ბიძია ესტატე!

ესტატემ აიტაცა დისწული, მიუალერსა და უტუს მიუბრუნდა: ცხენის ცალი ნალი დამიშაღეო საჩქაროდ.

ესტატემ ყველაფერი გამოჰკითხა დისწულს. კოჩამაც უამბო ყველაფერი, უტუც დაეხმარა.

უტუმ გლეხების მდგომარეობაზე ჩამოუგდო საუბარი, როგორ არიან თქვენც კი გლეხებიო?

— ეხ, ძმაო, რაც დრო გადის, უფრო უარესდება. სულ დავგასხდნენ კისერზე

და ეგ არი. ახლა, მგონი, დედოფალი აპირებს ბეგარის შემოღებას და საექლე-სიო გლეხების მის გლეხებად გადაქცე-ვას. ეს ხმები დიდი ხანია დადის. მაგრამ ახლა კი ნამდვილად ასე იქნება. აი მაშინ ორი ბატონის ხელში ვიქნებით. არ ვიცი სწორედ, რა დღე მოგველის! — ოხვრით დაამთავრა ესტატემ და ხელი ჩაიქნია.

— განა მაგას ფიქრი უნდა, რა დღეც მოგველის? — დაიწყო უტუმ. — ასე თუ გულზე დავიკრიფეთ ხელი, უარესზე - უარესს გვიზამენ, ცოცხლად შეგვჭამენ. სანამ ეს ბატონები და მჩაგვრელები არიან, გლეხები ვერ გაიხარებენ. ვხნავთ — სხვისია, ვთესავთ — სხვისია, მიწა არა გვაქვს. ძალა საჭირო, მეგობარო, ძალა აბა ერთი შევევრთდეთ, შეერთებულ ძალას ვინ დააკავებს? რისხვად დავატყლებით ყველას! ოდესმე ჩვენთვისაც გამოანათებს მზე...

ესტატე თავჩაქინდრული უსმენდა.

ხანმოკლე კაკუნი — და ნალი მზად იყო.

წასვლისას ესტატემ სთხოვა უტუს, ერთი კვირის ვადით გაეტანებინა მისთვის კოჩა შინ. უტუ დათანხმდა.

კოჩამ ჩაიცვა საგარეო ჩოხა-ახალუხი, მესტები, ფაფხი დაიხურა და წელზე სატევართან ერთად დამზახა ჩამოიკიდა. ბიძამ ცხენზე შემოსევა კოჩა. უტუ კარებიდან დიდხანს უტკეროდა მათ რალაცამ გული გაუჰაწრა.

\* \* \*

მგზავრობით მოქანკულ კოჩას გვიან გაელეძა. მზე უკვე ქოხის საკვამურიდან იცქირებოდა. ტანთ ჩაიცვა, ხელბირი დაიბანა. ბიძაშვილები ბატონის ნახირის სამწყესად წასულიყვნენ.

მთიდან ძირს ჩაიხედა, ხილისთავთან რამდენიმე ბატარ-პატარა დუქანი მოჩანდა. უცებ სიმღერა მოესმა. იქითვე მიიხედა და შენიშნა, როგორ გამოვიდნენ სამიკიტნოდან მთვრალი ბატონი და მისი ამაღა. ეტყობოდათ, სანადიროდ მიდიოდნენ, შინაყმები ძალღებებს ძლივს ამარგებდნენ. კოჩამ შენიშნა, რომ ერთმა ბატონმა მეორეს ხელით ანიშნა რალა-



ცა. ხელს თვალი გააყოლა და მხოლოდ ახლა დაინახა ხეზე ყურძნის საკრეფად გასული ბიძია ესტატე.

მეორემ თოჟი გადმოიღო. კოჩას ენა ჩაუვარდა, ვერაფერს მიხვდა, სროლის ხმამ გამოარკვია. უცებ ტოტების ლაწანი მოესმა, მოიხედა: ხის ძირას ეგდო სისხლში გასვრილი ბიძია ესტატე. ქალები კვილით მივარდნენ.

კოჩა თავქვე დაეშვა ბილიკით. უმალ ბატონებთან გაჩნდა.

გაფრენილ ჩიტს არ ავატდენ, ეგ რაა! — ტრაბახობდა გამარჯვებული. კოჩამ იცნო მოურავი, მის გვერდით მდგარი ბატონი და ბატონის შვილი ლევანი.

უცებ დამბაჩამ იელვა კოჩას ხელში. თვალებით რისხვის ნაპერწკალი შეაფრქვია გამარჯვებულს. გავარდა დამბაჩა და მოურავმა მკერდზე „იტაცა“ ხელი,


შეტორტმანდა, თავი ვერ შეიმაჯრა და უზანგზე ჩამოეკილა მკვდარი.

ბატონმა ხმალი იმიშვლა, გონს მოსულმა ამაღამ არ დაანება. ხმალი ჩააგებინეს, ხოლო კოჩა შეკრეს და მღივანბეგს მიჰგვარეს.

კოჩა კოშკის ქვეშ გათხრილ დიღეგში ჩააგდეს ბორკილოგაყრილი. დიღეგში საშინლად ბნელიდა. ნესტიანი ჰაერი სულს უხუთავდა კოჩას. მოგონებებმა გაიტაცეს... წარმოუდგა: გაქვარტლული სამქედლო გზის პირად, ანთებული ქურა, კეთილი უტუ, დამბაჩა, უტუმ რომ აჩუქა. რა უთხრა მაშინ კოჩას?

— უმიზნოდ არ დახარჯო პირველი გასროლა, დამბაჩის პირველი დაცლით ერთი ბატონი მოაშორე დაჩაგრულ გლეხებსო.

კოჩას გულზე მოეშვა, გამარჯვებულად იგრძნო თავი...



### აჩნო მხელი

(წერილი ჩემს უფროს ძმას, მფრინავს)

ლოკუღლიაო, ამბობენ,  
სასელოვანი გმირი;  
თურმე ვრიგალებს აზობდი,  
საქმე ჭქენ გასაკვირი.  
მტერს ატყდებოდა თავზარი  
შენი ეუმბარის სმაზე,  
შენმა ეუმბარამ გაბზარა  
მანერჭვაიმის ხაზი.  
გული სიამით ამევისო,  
რა მესმა ქება შენი,

მემატა სწავლის საღისი,  
სულ ფრიადები მშვენი.  
ვიზრდები. მტრების სამსობლად  
წამოვად შენთან რბენით, —  
მეც მინდა ვიყო სამსობლოს  
მამაცი შვეარდენი.  
რომ მეც ვრიგალებს ვაზობდე,  
საქმე ვქნა გასაკვირი,  
ლოკუღლიაო, ამბობდნენ,  
სასელოვანი გმირი!



# „ქრუხები ყვავიან“

ჩვენი ნორჩი მკითხველები სიყვარულით ახსენებენ გიორგი კაქაბიძის სახელს. მან შრავალი ღექსი მიუძღვნა ჩვენი ბედნიერი მომავალი თაობის მხიარულ ცხოვრებას. წიგნებადაც გამოვიდა მისი საბავშვო ნაწერები. ამ უკანასკნელად გ. კაქაბიძემ ნორჩ მკითხველებს მიუძღვნა კიდევ ახალი საჩუქარი, ღექსების კრებული: „ალუბლები ყვავიან.“ ამ წიგნში პოეტი მრავალ საინტერესო თემას ეხება.

ჩვენი სკოლა და ოჯახი მთავარი თემაა გ. კაქაბიძის საბავშვო შემოქმედებაში. მან იცის, რომ აქ უნდა გაიზარდოს და გამოიწრთოს კომუნისმის მშენებელი აღამიანი. მისთვის საყვარელი თემაა აგრეთვე სამშობლო, ჩვენი უძლეველი დიადი საბჭოთა კავშირი. იგი ალტაცებული უმღერის გმირულ წითელ არმიას, მათ ვაჟაკობას, სიმამაცეს და საოცარ გმირობას. მის ღექსებში შესანიშნავად არის დახატული ლენინისა და სტალინის დიადი ბუნება, რომლებმაც სული ჩაუდგეს ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას. პოეტი ლენინს ხედავს მავზოლეში, მას უნდოდა იგი კოცხალი ენახა, მაგრამ იმედი არ გაუპართლდა, გამოვიდა მავზოლედან, ამბობს:

„გული დაგვწყდა... მაგრამ გარეთ ჩვენ ლენინი ისევ ვნახეთ:  
მისი შუქი დაჰფენოდა  
შოღენებს და ირგვლივ სახლებს“...

პოეტი ლენინს ხედავს თვით ცხოვრებაში, აღფრთოვანებულია მით, რომ მისი უკვდავი საქმე გრძელდება. ლენინის საქმის დამკვირვებლად იმავე ღექსში ვხვდავთ სტალინს.

გიორგი კაქაბიძის საბავშვო ღექსები მით არის საინტერესო, რომ იქ ვხვ-



გიორგი კაქაბიძე.

დავთ ჩვენი დიადი და ბედნიერი ქვეყნის ცხოვრებას, ამაღლებველ და საყვარელ თემებს. პოეტი ნორჩთაობას ღექსებით ესაუბრება ისე, როგორც მათი ბუნება მოითხოვს, ისე კარგად გადმოგვცემს ბავშვის ბუნებას, თითქოს თვითონაც ბავშვი იყო. და სწორედ ამიტომ იმსახურებს იგი საყვარელი მწერლის სახელს.

გ. კაქაბიძის ღექსებში მსუბუქი და ნარნარა ენით გადმოცემულია, თუ რა ძვირფასია შრომა, როგორ აკეთილშობილებს იგი აღამიანს. ეს აზრი ძალიან ოსტატურადაა გადმოცემული ღექსში „თქვენც უთხარით ცაცას რამე“:

„ძიამ ბევრი კარგი წიგნი  
უთავაზა ერთად ცაცას.  
უთხრა: „ნახავ ამ წიგნებში“



მელას ხრიკებს, სოფლად ცანცალს.  
ნახვე კიდევ: მაწანწალას  
როგორ გახდის შრომა კაცად“....

პოეტი კიცხავს ამ ლექსში ზარმაცს, დაუღევარს და გვიჩვენებს შრომის ძალას, თუ როგორ შეუძლია მას ადამიანი სახელოვან კაცად გახადოს.

სამხედრო თავდაცვით თემაზე გ. კაქახიძეს რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი. მას ნაჩვენები აქვს თავის ლექსებში, თუ ნორჩი თაობის შეგნებაში როგორ არის გამტკიცებული სამშობლოს სიყვარული და დაცვის უნარი. ლექსი „ჩვენი ეზოს ცეცხლები“ ამის მშვენიერ დასაბუთებას იძლევა: ბავშვებმა პატარა ქალაქი ააშენეს. ამ ქალაქში ქუჩებიც იყო, მოედნებიც, თითქმის „მიგ მდინარეც მოღუღუნებს, ვით თბილისში მტკვარი“. ფრიალებს წითელი დროშაც, გუგუნივებს ქარხნები და პატარები ამ ქალაქში სიხარულით ფუსფუსებენ. მათ იციან, რომ მტერი უთვალთვალავს, გამაგრეს კიდევ; შეიარაღდნენ ხის თოფებით. მათ ქალაქში მოულოდნელად შემოიქრა ფისო, დაატყვევეს:

„ყველა თათი გაუსინჯეს,  
აუწიეს ყური,  
უთხრეს: „რად ხარ ქორიკანი,  
შრომის უმაღური“?!

ამ თემის ასე გაშუქება უფრო დამაჯერებელია, ვინემ ბავშვები მართლა წითელარმიელების მოვალეობაში გამოცვანა.

კარგად სახავს მისი ლექსები ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო იარაღის ძლევაშობილებას. ასეთი ლექსებია: „ბჭოთა კრისერები“, „ჩვენი ტანსაცმელი საზღვრები“ და „გმირი მფრინავები“.

გ. კაქახიძეს მრავალი ლექსი აქვს ბუნების სიმშვენიერესა და სილამაზეზე დაწერილი. ბუნება მისი ლექსებისათვის დამახასიათებელია, მაგრამ იგი ბუნებას განსაკუთრებით ცალკე კი არ უმღერის, არამედ ადამიანთა ურთიერთობაში აქვს მოცემული. უნახვი ყვავილიც კი, როგორც არის ია, ესეც ადამიანის გასახარებლად უნდა იყოს და არა ისე, რომ ბუნებაში ამოვიდეს და იქვე დაქნეს. ასეთია მაგალითად ლექსი „ია“. მინდორში ია ამოსულა გაზაფხულის მახარობლად. ის ამკობდა იქაურობას. მაგრამ საიდანაც გაჩნდა ლია:

„მოწყვიტა და უთხრა: „კარგო,  
ველს ამკობდე კმარა, ვანა?“  
და სიცოცხლის მახარობლად  
სახლისაკენ გააქანა“.

ასე სიცოცხლითა და სიხარულით არის აღსავსე გიორგი კაქახიძის ლექსები. მან თავისი ნაყოფიერი მუშაობით ისეთი სახელი დაიმკვიდრა საბავშვო მწერლობაში, რომ პატარები ყოველთვის ინტერესით ელიან მის ახალ-ახალ ლექსებს. მისი უკანასკნელი წიგნის მოხდენილი სახელი „აღუბლები ყვავიან“ მართლაც საუკეთესო ნიმუშია გიორგი კაქახიძის პოეტური აყვავებისა, რომელიც დღითიდღე ამდიდრებს ქართულ საბავშვო მწერლობას.



მერცხლებო, ასე აღრიან  
ნეტავი რატომ წახველით,  
თქვენც დასტკებოდით ჩემსავით  
ამდენი ხილის მნახველი.

გახედეთ ღამაზ ვენახებს,  
ქარვით რომ ამოქარგულან,

ამ დღით ვერსად ვერ გნახეთ,  
წერონიც გადაქარგულან.

მერცხლებო, ნეტავ ყოველდღე  
მე თქვენთან მალაპარაკა!  
მალე მოფრინდით, რომ ნახოთ  
ჩვენი მოსავლის ბარაქა!

შალვა ბაკიძე





მურაბის ტაშტს თავს ევლება  
მოცქრიანე ჩვენი მამო.  
—ჰო, ნეტავი ეს კაკალი  
ჩქარა მაინც მოიხარშოს!—  
ფიქრობს, თანაც ცუგრუმელა  
აკვირდება წყლიან ბუშტებს,  
ხან მურიას ემუქრება,  
ხანაც ფისოს უქნევს მუშტებს.  
ლაივიწყა „მეგობრები“,  
დედოფალა გდია მარტო,  
ერთხელაც არ მოენატრა  
მოსრიანე თავის ავტო.  
სულ უბრალოდ, უმიზეზოდ  
ბავშვებს ჩხუბი აუტეხა,  
მიუტანა დედას წყალი  
და ქიღებოც დაუხეხა.  
მაინც ველარ მოისვენა,  
აქაფებულ ტალღას ჰგავდა.  
მანამ დედა ნათურისდან  
მურაბის ტაშტს გადმოღვამდა,  
და როდესაც ძირს გადმოღვა,  
დაუბარა შემდეგ დედამ:  
„შენ მურაბას მოუარე,  
მე საქონელს გადაეხედვე,  
მაგრამ სულმა არ წაგძლიოს  
არ დაიწვა პირი, ხახა“ —  
მამო ტაშტთან მოკალათდა  
და სიმღერა შემოსძახა.

თითქოს რაღაც მოაგონდა,  
ფისოს წაჰკრა ხელი თავზე,  
თან თვალები გაუბრწყინდა  
სიცოცხლით და შვებით სასე.  
— „მოდო, გემოს გავუსინჯავ,  
გეჰრიელი არის ნეტავ?!“  
მურაბაც თავს უკანტურებს:  
„აბა, გოგო, თუ გაბედავ!“  
დასწვდა, კოვზით ამოიღო,  
შეუბერა სული ფრთხილად...  
— ვიშ, რა კარვად მოხარშულა!—  
თქვა და ყელი ჩაიტკბილა.  
ერთს მეორეც მიაცოლა...  
გაუტკბილდა, კიდევ იღებს...  
— „ამოდენა კაკალია,  
დედა მაინც რას გაიგებს!“—  
დახეთ, ფისომ, სკამზე რომ ზის  
მობუზული, როგორც დათვი,  
მეტი ველარ მოითმინა,  
მურაბაში ჩაჰკრა თათი.  
და სიმწარით დაიკნავლა,  
ამოგვსო ცრემლით თვალი...  
სწორედ ამ დროს შემოალო  
მამოს დედამ სახლის კარი  
და რას ხედავს: იატაკზე  
მურაბაა გადმოღვრილი,  
მამო ტირის, ფისო კნავის  
მურაბაში ამოსვრილი.



თბილისის მე-14 სკოლის დაწყებითი კლასების ფრიაღონები

ფოტო-გ. აკოფოვის



- 1) მდიენოვა ლამარა (I კლ.), 2) ყაველაშვილი ანზორი (I კლ.), 3) ტიქინაძე შირინი (I კლ.),
- 4) დოლაბერიძე რუსუდანი (I კლ.), 5) ჭართველიშვილი ვახტანგი (I კლ.), 6) ასათიანი მელიტა (II კლ.),
- 7) მგალობლიშვილი ნოდარი (II კლ.), 8) ასათიანი არჩილ (I კლ.), 9) მამულია ლია (I კლ.),
- 10) დოლიძე თურნა (I კლ.), 11) გეჯაძე ციალა (II კლ.), 12) ბუგაიანიშვილი ჯემალი (I კლ.),
- 13) ბარაბაძე შუჭრი (I კლ.), 14) ჩიკვიძე ალექსანდრე (II კლ.), 15) თოთაძე ლამარა (I კლ.),
- 16) ვაბისონია ნათელა (II კლ.).